ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 295

ქ. თბილისი "24" აპრილი 2017 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გია გულუას ქუჩა N8, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 204383176), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 25 მაისის N268 ბრძანების საფუძველზე, წარმოდგენილი ეკონომიური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის **მურთაზ სიჭინავას** სახით და

მიმწოდებელი: შპს „მაი მობაილ+", საიდენტიფიკაციო კოდი 205294705;

მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, ადამ მიცკევიჩის 27გ; ტელ: 2 30-86-42;

დირექტორი: ზურაბ ბოკერია;

საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი" ბანკის კოდი: MIBGGE22; ა/ა: GE02PC0053600100019713

ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებული **SPA170005270** გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

1.1.4. "მიმწოდებელი" - **„მაი მობაილ+";**

1.1.5. „შესყიდვის ობიექტი"- წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონელი.

1.1.6. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.7. „ტექნიკური დოკუმენტაცია" - მიმწოდებლის მიერ **SPA170005270** გამარტივებული ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2. ხელშეკრულებაში გამოყენებული სხვა ტერმინები უნდა განიმარტოს ხელშეკრულების შინაარსიდან და კონკრეტული კონტექსტიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰაბიტოსკოპიური საიდენტიფიკაციო სისტემის „POLYFACE"-ის პროგრამული უზრუნველყოფის არსებული ვერსიის განახლების შესყიდვა (CPV48600000).

3. შესყიდვის ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა: **96970** (ოთხმოცდათექვსმეტი ათას ცხრაას სამოცდაათი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტი ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათ შორის დღგ-ს.

4. მიწოდების პირობები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტების, წესებისა და მოთხოვნების დაცვით, დანართი N1-ით განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

4.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ადეკვატური შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან ფასების ცხრილში მითითებული დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში. შეფუთვის სახეობა, თითოეული ფუთი გაბარიტი და წონა უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

4.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სერვერის მართვის (არანაკლებ 2 პერსონაზე) და პროგრამის განახლების შესაბამისი ტრენინგების (არანაკლებ 5 პერსონაზე) ჩატარება.

5. **გარანტია და შესყიდვის ობიექტის ნაკლი**

5.1. მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის ინსტალაციის დასრულებიდან იძლევა გარანტიას 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

5.2. გარანტიის პერიოდში შესყიდვის ობიექტის ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადებში, მაგრამ არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5.3. მიწოდებული შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ასევე, მისი მოქმედების დასრულების შემდგომ, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადებში, მაგრამ არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროს ნაკლი ან შეცვალოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტით, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5.4. ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ასევე მისი მოქმედების დასრულების შემდგომ, აღმოჩენილი ნაკლის არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადებში, მაგრამ არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროს ნაკლი, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5.5. მიმწოდებლის ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

6. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი (ინსპექტირების ჯგუფი). კერძოდ, **შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის მარაგებით უზრუნველყოფის სამმართველოს მოთხოვნების დაზუსტებისა და მარაგებით უზრუნველყოფის სამსახურის უნიფორმების მოთხოვნების დაზუსტების და უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ლაშა ნარსია.**

6.2. ინსპექტირების ჯგუფი შესყიდვის ობიექტის მიწოდების ინსპექტირებას ახდენს სისტემატიურად, საკუთარი შეხედულებისამებრ.

6.3. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით - შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ.

6.4. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს დამატებითი კვლევა.

6.5. მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შუეწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაში და განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე.

6.6. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6.7. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მიმწოდებელი ყველა საკითხზე მიმართავს **შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტს,** (მათ შორის ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით (მაგ: ვადის გადაწევა, მიწოდების ადგილის, მწარმოებლის, წარმოშობის ქვეყნის ცვლილება და ა.შ.).

7. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

7.1. მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შესყიდვის ობიექტის გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიწოდების ადგილის მიხედვით.

7.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის მიწოდებად არ ითვლება ნაკლიანი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შეუსაბამო შესყიდვის ობიექტის წარმოდგენა. ასეთ შემთხვევაში აღნიშნულზე მიღება-ჩაბრების აქტი არ ფორმდება.

7.3. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირ(ებ)ი - კერძოდ, **შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირი.**

7.4. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8. **ანგარიშსწორება**

8.1.1. დაფინანსების წყარო - 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

8.2.1. უნაღდო - ანგარიშსწორების ფორმა - სტანდარტული.

8.3. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

8.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად მოწოდებული შესყიდვის ობიექტის მიხედვით. მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8.5. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარიშ-ფაქტურა.

8.6. უნაღდო - ანგარიშსწორების ფორმა ავანსი არ გამოიყენება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში შესაძლებელია ფასის გაზრდა. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.5. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანის დოკუმენტს ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

9.6. ხელშეკრულების ღირებულების შემცირება დასაშვებია ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების გათვალისწინებით.

9.7. იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის საერთო რაოდენობის გაზრდა ან შემცირება, ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ფაქტობრივად მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების მიხედვით, ხოლო რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთეულის ფასი არ გაიზრდება.

9.8. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც განხორციელებულია ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და მოთხოვნილი ხარისხის შესაბამისად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების პირობების ამ მუხლში.

10.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობებს ვერ შეასრულებს (შესრულების ვადა, ხარისხი) ან/და დაარღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

ბ) ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების, ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.15%-ის ოდენობით.

გ) თუ კი პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% და იგი ვერ განახორციელებს შესყიდვის ობიექტის სრულად მოწოდებას და/ან არ გამოასწორებს აღმოჩენილ ხარვეზს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემსყიდველი შეწყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ, ობიექტური მიზეზის დადგომის შემთხვევაში, რაც უნდა დადასტურდეს ფაქტობრივი მტკიცებულებით (დოკუმენტალური დადასტურება).

10.4. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მომწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.5. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება; (არსებობის შემთხვევაში).
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.6. ხელშეკრულების შეწყვეტა ან/და საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.
10.7. შემსყიდველს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

14. სხვა დებულებები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად.
14.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შსს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე მურთაზ სიჭინავა	შპს „მაი მობაილ +"–ს დირექტორი ზურაბ ბოკერია

დანართი №1 2017 წლის "24" აპრილის №295 ხელშეკრულებასთან

N	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები (მწარმოებლის და წარმოშობის ქვეყნის მითითებით)	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	საგარანტიო ვადა	მიწოდების ვადები	მიწოდების ადგილი
1	ჰაბიტოსკოპიური სისტემის "POLYFACE"-ის პროგრამული უზრუნველყოფის არსებული ვერსიის განახლება.	* პროგრამის განახლება საშუალებას იძლევა განახლდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში არსებული ჰაბიტოსკოპიური პროგრამა "POLYFACE-1.8.0." და სერვერი "1. 5. 0."; * პროგრამული უზრუნველყოფა გამოყენებადია როგორც ფიზიკური, ასევე ვირტუალური სასერვერო ინფრასტრუქტურის პირობებში; * თავსებადია არანაკლებ "WINDOWS 7"-ის ოპერაციულ სისტემასთან; * დაემატება 3D ფოტოროობოტის შექმნის შესაძლებლობა; * პროგრამის არსებულ ვერსიასთან შედარებით გაუმჯობესებულია ანთროპოლოგიური წერტილების განლაგების კოდის შემოწმების და შესწორების ალგორითმი, რომელსაც საფუძვლად აქვს ხვეული ნეირონული ქსელის "CNN" მოდელი და მანქანური სწავლების "DEEP LEARNING" ტექნოლოგია; * ერთდროულად გამოყენებადი არსებული 4 სამუშაო ადგილის ლიცენზია გაიზრდება 5 - მდე; * გაუმჯობესდება სერვერზე არსებული პროგრამის გამოთვლელი ბირთვი - დღეში 500 ჰაბიტოსკოპიური ბარათის ნაცვლად გაატარებს არანაკლებ 3000 ბარათს; * განახლება მოხდება "PAPILLON POLYFACE"-ის მწარმოებელი კომპანიის ავტორიზებული სპეციალისტის მიერ; მწარმოებელი კომპანია-პოლიფეისი, პაპილონი; წარმოშობის ქვეყანა-რუსეთი.	ცალი	1	96970.00	96970.00	1 (ერთი) წელი	ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.	ქ. თბილისი, ბ. გულუას ქუჩა N8
სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)						**96970.00**			

შემსყიდველი:

შსს ეკონომიკური დეპარტამენტის
დირექტორის მოადგილე

მურთაზ სეფინავა

მიმწოდებელი:

შპს „მაი მობაილ +"–ს
დირექტორი

ზურაბ ბოკერია